DisboCRET 515
1K-Acryl-Betonanstrich

უკიდურესად მაღალი დაფარვის უნარის მქონე,
მაღალი ხარისხის ბეტონის დამცავი საღებავი.
საუკეთესოდ გამოდგება ბზარების დასაფარად.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

ბეტონის დამცავი საღებავი, კედლებისა და ჭერის ზედაპირებისთვის - გარე სამუშაოებისთვის და ასევე, დახურული ან მიწისქვეშა ავტოფარეხებისთვის.

თვისებები

- ატმოსფერული მოვლენებისადმი მედეგი
- ტუტეების მიმართ მედეგი
- ულტრაიისფერი სხივებისადმი (UV) მედეგი
- ბზარების დამფარავი (ბზარის სიღრმე < 0,1 მმ.)
- ორთქლდიფუზიური
- აფერხებს მავნე აირებს CO2-ისა და SO2-ის მიმართ
- ზრდის ყინვისადმი და მარილებისადმი მედეგობას
- აკმაყოფილებს EN 1504-2 და DIN V 18026 მოთხოვნებს: ბეტონის ზედაპირის დაცვის სისტემები
- DisboCRET 505 Feinspachel-ით დაფითხულ ზედაპირზე, დაიტანება დაახლ. 6 საათში, ზედაპირის დაგრუნტვის გარეშე.

ფასადის ჰიდროფობიურ პროდუქტებთან: DisboXAN 450-თან, ან DisboXAN 451-თან შესაბამისობა (OS 2 (OS-B)) და პროდუქტებთან: DisboCRET 505-თან ან DisboCRET 510-თან შესაბამისობა (OS 4 (OS-C)) - დამოწმებულია სარემონტო სახელმძღვანელო/ ZTV-ING-ის მიხედვით

მასალის შემკვრელი

სტიროლის აკრილატი - დისპერსია

შეფუთვის ზომები

სტანდარტული:
15 ლ. პლასტმასის კონტეინერი

ColorExpress:
12 ლ. სათლი

ფერი

თეთრი (დაახლ. RAL 9016)
ინდივიდუალური ფერები შეკვეთით.

შეფერადება შესაძლებელია ColorExpress-ის აპარატებზე, 3D-სისტემის სამშენებლო ფერებში.

ფერის მედეგობა BFS მონაცემთა ფურცლის N26 მიხედვით:
მასალის შემკვრელი: კლასი - A.
პიგმენტირება: ჯგუფი 1-დან - ჯგუფი 3-მდე, ფერის ტონის მიხედვით.

სიპრიალის ხარისხი

აბრეშუმისებრი მქრქალი, G2

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას.
ქარხნულად დახურული შეფუთვების შენახვის ვადა 1 წელია.

ColorExpress

ტექნიკური პარამეტრები

- სიმჭიდროვე: დაახლ. 1,4 გ/სმ3
- მყარი ნივთიერებების შემცველობა: დაახლ. 65 წონა-%
- მშრალი ფენის სისქე: დაახლ. 40–50 µm/100 მლ/მ2
- დიფუზიის წინააღმდეგობის კოეფიციენტი µ (H2O): 5.500
- დიფუზიის წინააღმდეგობის კოეფიციენტი µ (CO2): 2.300.000
- დიფუზიის ექვივალენტური ჰაერის ფენის სისქე sdH2O: დაახლ. 0,88 მ. (160 µm მშრალი ფენის სისქე)
- დიფუზიის ექვივალენტური ჰაერის ფენის სისქე sdCO2: დაახლ. 368 მ. (160 µm მშრალი ფენის სისქე)
- წყლის შეღწევადობა(w-ფ აქტორი): < 0,02 კგ/(მ2 · h0,5) კლასი w3 (დაბალი) DIN EN 1062-მიხედვით

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ბეტონი, Disbocret®-სისტემის ფითხები, მინერალური ფითხები და ძველი, მზიდუნარიანი დანაფარები. ზედაპირის გაჭიმვის სიძლიერე უნდა იყოს საშუალოდ 1.0 N / მმ2. ყველაზე მცირე ერთეული მნიშვნელობა არ უნდა იყოს 0.5 N / მმ2– ზე დაბალი.

ზედაპირის მომზადება

მინერალური ზედაპირები:
ზედაპირი უნდა იყოს სუფთა და თავისუფალი ფხვიერი ნაწილებისგან. მოაცილეთ გამყოფი ნივთიერებები (მაგ. ზეთი, ცხიმი), ძლიერი დაბინძურება (მაგ. ხავსი, ობი და წყალმცენარეები) და მინისებრი, არასტაბილური ცემენტის ქვა - შესაფერისი მეთოდების გამოყენებით. ზედაპირი უნდა იყოს თავისუფალი ისეთი კომპონენტებისგან, რომლებიც ხელს უწყობენ კოროზიის წარმოქმნას(მაგ., ქლორიდები).

ძველი დანაფარი:
შეამოწმეთ ზედაპირზე არსებული ძველი დანაფარები - საკმარის ადჰეზიურობაზე. არამზიდი ძველი და არაელასტიური დისპერსიული დანაფარები მთლიანად მოაცილეთ ზედაპირს. მზიდი, მყარი და არაცარცვადი ძველი დანაფარები, საფუძვლიანად გაასუფთავეთ (მაგ. წყლის ან ორთქლის ჭავლების გამოყენებით).

ფოროვანი, დეფექტების და სიცარიელეების მქონე ზედაპირები:
ერთგვაროვანი და საკმარისად სქელი დამცავი დანაფარის მისაღწევად - ფორები, ატეხილი ფრაგმენტები, ბზარები და სიცარიელეები უნდა გათანაბრდეს და შეივსოს - გლუვ ზედაპირამდე, DisboCRET-სისტემაში არსებული შესაბამისი პროდუქტების მეშვეობით.

მასალის მომზადება

მასალა მზად არის გამოსაყენებლად. გამოყენებამდე საფუძვლიანად ამოურიეთ. ამინდის პირობების, დატანის მეთოდის და ზედაპირის მიხედვით - პროდუქტის გაზავება შესაძლებელია მაქს. 5% წყლით. მიფრქვევით დატანისას, საჭიროების შემთხვევაში მასალის გაზავება მაქს. 2% წყლით არის შესაძლებელი.

დატანის მეთოდები

მასალის დატანა შესაძლებელია ფუნჯით, გორგოლაჭით ან უჰაერო მიფრქვევის დანადგარით (ნახვრეტის სისქე: 0,018–0,021 ინჩი).
არ შეიძლება მასალის, პირდაპირი მზის სხივების ქვეშ, წვიმის, ძლიერი ქარის ან გახურებულ ზედაპირებზე გამოყენება. საჭიროების შემთხვევაში, დაამუშავეთ ზედაპირი განმეორებით. გაითვალისწინეთ: VOB ნაწილი C, DIN 18 363 მე-3 პუნქტი.

ფენის სისქე

ზედაპირის ეფექტური დაცვისთვის საჭიროა, რომ მშრალი ფენის სისქე მინ. 80 µm იყოს.

დაფარვის სტრუქტურა

ზედაპირი	საგრუნტი დანაფარი
System OS 2 - სისტემები - ბეტონზე დატანა	DisboXAN 450
შემწოვი, მინერალური ზედაპირები (მაგ. ფეტონი, ბათქაში) DisboCRET	CapaSol Konzentrat 1 : 4 წყლით გაზავებული
DisboCRET 505-ით - სრული ზედაპირის დაფითხვა	არ საჭიროებს
DisboCRET 510-ით - სრული ზედაპირის დაფითხვა	არ საჭიროებს
მზიდუნარიანი, მყარი დანაფარები	Capagrund Universal
ლაქის მზიდუნარიანი დანაფარი	Disbon 481 2K-EP-Universalprimer

აივნის პარაპეტების ჰორიზონტალური და შეუღებავი ზედაპირები, უნდა იყოს თავისუფალი სიცარიელეებისგან და ჰქონდეს საკმარისი დახრილობა. ასეთი ზედაპირები უნდა დაიგრუნტოს პროდუქტით: DisboXID 420 და დამუშავდეს პროდუქტით: DisboADD 942. მხოლოდ ამის შემდეგ დაიტანება შუალედური და დამასრულებელი ფენა.

ხარჯი

დაახლ. 200 მლ/მ2 თითო ფენა

გამოყენების პირობები

მასალის, ცირკულირებადი ჰაერის და ზედაპირის ტემპერატურა:
მინ.5 °C, მაქს. 40 °C

შრობის დრო	20 C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში, ზედაპირი მტვრისადმი მედეგია დაახლ. 4 საათში, დაახლ. 6 საათში კი, წმივამედეგი. შრება და მზადაა შემდეგი ფენის დასატანად დაახლ. 12 საათში. *შენიშვნა:* მყარ, გრილ ზედაპირებზე, ან არა ხელსაყრელ ამინდის პირობებში, მაღალმა ნესტიანობამ (წვიმა, ნამი, ნისლი) შესაძლოა გამოიწვიოს დანაფარებზე გამჭირვალე, ან მოყვითალო, ოდნავ პრიალა, წებოვანი გამონადენი ლაქების წარმოქმნა. ეს ლაქები წყალდისპერსიულია და შესაბამისად საკმარისი რაოდენობა წყლით მოშორებადი (მაგ. განმეორებითი, ძლიერი წვიმის შემდეგ). ეს პროცესი უარყოფითად არ მოქმედებს გამშრალი და გამყარებული დანაფარის ხარისხზე. თუ საჭიროა დანაფარის ხანმოკლე დროის შემდეგ გადამუშავება, ეს ლაქები უნდა საფუძვლიანად ჩამოირეცხოს წყლით. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ზედაპირი დაიგრუნტოს პროდუქტით: CapaGrund Universal.
ხელსაწყოების წმენდა	სამუშაოს დასრულებისას დაუყოვნებლივ გარეცხეთ წყლით.

მითითებები

სერთიფიკატები	აქტუალური სერთიფიკატები ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში.
უსაფრთხო მოხმარების წესები	იწვევს კანის გაღიზიანებას. შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები. იწვევს სერიოზულ თვალის დაზიანებას - ატარეთ დამცავი სათვალე. მომწამვლელია წყლის ორგანიზმებისთვის, ხანგრძლივი ზემოქმედებით. მოარიდეთ თვალებთან კონტაქტს, კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრას. გამოყენების შემდეგ საფუძვლიანად დაიბანეთ კანი. არ დაუშვათ გარემოში და ნიადაგში მოხვედრა. ატარეთ დამცავი ხელთათმანები და სათვალე. თვალების ხანგრძლივი გაღიზიანების შემთხვევაში: მიმართეთ ექიმს. სამუშაო ტანსაცმელი გაიხადეთ და გარეცხეთ შემდეგ გამოყენებამდე.2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონ, 1,2-ბენზიზოთიაზოლ-3(2H)-ონ, რეაქციის მას 5-ქლორ-2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონ და 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლი -3-ზე (3:1). საფრთხე! მიფრქვევით დატანისას შეიძლება წარმოქმნას, სასუნთქი გზებისთვის საშიში ჰაერ-წვეთები. არ შეისუნთქოთ, მუშაობის დროს წარმოქმნილი მტვერი და აირები.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვები (მასალის ნარჩენების გარეშე). გამაგრებული მასალის ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი ნორმების გათვალისწინებით.
აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)	პროდუქტის კატეგორია (Kat. A/c): 40 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს არაუმეტეს 40 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
პროდუქტის კოდი/Giscode	BSW20 ძველი: M-DF02
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ "კაპაროლის" ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია "კაპაროლი" სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

CE-მარკირება

CE	
1119 Disbon GmbH Roßdörfer Straße 50 64372 Ober-Ramstadt	
09	
DIS-515-001189	
EN 1504-2:2004 ზედაპირის დამცავი საშუალება - საფარი. OS 2 (OS B) OS 4 (OS C)	
EN 1504-2: ZA.1d და ZA.1e	
განივი ჭრილი	≤ GT2
CO2-გამტარიანობა	SD > 50 მ
ორთქლდიფუზიურობა	კლასი I
კაპილარული წყლის შთანთქმა და წყლის გამტარიანობა	w < 0,1 კგ/მ² x h0,5
ტემპერატურის მერყეობისადმი მედეგობა	≥ 1,0 (0,7) N/მმ²
მოწყვეტის ცდა ადჰეზიის სიძლიერის შესაფასებლად	≥ 1,0 (0,7) N/მმ²
აალების კოეფიციენტი	კლასი E
Künstliche Bewitterung	keine sichtbaren Fehler

EN 1504-2
EN 1504-2 „პროდუქტები და სისტემები ბეტონის კონსტრუქციების დაცვისა და შეკეთებისთვის -ნაწილი 2: ბეტონის ზედაპირის დაცვის სისტემები“ განსაზღვრავს მოთხოვნებს ზედაპირის დაცვის მეთოდების მიმართ. პროდუქტები, რომლებიც შეესაბამება ზემოაღნიშნულ სტანდარტს, უნდა იყოს მონიშნული CE მარკირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge